შაბათი, 22 სექტემბ. 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 267

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 30 ტეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

სელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციას რედაქცია არ ინახავს. ინახავენ-ერთის თვით ხელოვნდ-დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით მიმსუხისთვის საჭიროა საფოსტო-მარკები. ბირადმოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ოთხშაბათს, 19 ენკენისთვეს, ქ. თელავში გარდაიცვალა მღვდლის ქვრივი

## ხორეშან ივანეს ასული დავითაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მისი შვილები **სალომე და ელისაბედი** (უკანასკნელი შვილებითა) **გაბრიელის ასულნი**, შვილის-შვილი **პელაგია მიხეილის ასული დავითაშვილისა** და სიძეები **კარლ ედუარდის ძე კარსტენსი** და **დავით ალექსის ძე დავითაშვილი**. დაკრძალვა ქ. თელავში, კვირას, 23-ს ამ თვისა (1—327—1)

**ბარბარე იოსების ასული აფრიამოვისა** ქალოთურთ დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას საყვარელ მეუღლის

## სერგეი ოჰანეზას ძის აფრიამოვისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, ავლაბარში, ნუხის ქ., № 20.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—329—1)

**გეურქ ოჰანეზას ძე და ოსანა ავეტას ასული აფრიამოვები** შვილებითურთ, **სოფიო ოჰანეზას ასული ბაბასოვისა** და **ეკატერინე ოჰანეზას ასული ტუნიევისა შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გადაცვალებას: პირველი, მესამე და მეოთხე—დაუვიწყარ ძმის, ხოლო მეორე—მაზლის

## სერგეი ოჰანეზას ძის აფრიამოვისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, ავლაბარში, ნუხის ქ., № 20.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—329—1)

კვირას, 23 ენკენისთვეს, ქუთაისის საკათედრო ალექსანდრე-ნეველის ტაძარში გადახდილი იქნება პანაშვიდი გადაცვალებულის

## ლუარსაბ თეიმურაზის ძის ლოლუას

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის და **ეკატერინე** და სიძე **დავით აბდუშელიშვილები** შვილებითურთ ატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობებს. (3—325—3)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (63)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან ნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—16)

ექიმი
**ვ. ს. ფუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ე. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—14)

თვალის ექიმი
**ზ. ვ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—15)

ექიმი
**ივ. გომართელი**
პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—10)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—182)

**კბილის ექიმი**
**ს. ბ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამ.ის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—6)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ ვედეანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—4)

**სამკურნალო**
**ექიმთა საზოგადოებისა**
ტფილისში
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
**მიიღება ყოველგვარ მოსიარულე ავადმყოფები.**
**მიზიერი აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა,
**ვ. ბ. კიმონტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**ბ. ა. ბეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,
**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, ავრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—00)

**ტფ. ქართულ**
**ფილარმონიულ**
**საზოგადოების გამგეობა**
ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 23 სექტემბერს, დილის 11 საათისათვის სამეურნეო ბანკში დანიშნულია მეორედ საგანგებო კრება საზოგადოების წესდების ზოგიერთა მუხლის შესასწორებლად და ახალ მუხლის შესატანად, რომლის ძალითაც საზოგადოებას ნება ექნება გახსნას თავის სახელზედ **სპეციალური სამუსიკო სკოლა**. (2—ნ.—1)

სეზონის გახსნა

**ქუთაისი**
ქალაქის თეატრი
**„ქართული დრამა“**
კვირას, 23 სექტემბერს **ნ. ბ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ფამეხული

დრამა 5 ქოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. ჩხეიძე, ივან. ძე, ჯავახიშვილისა, კიკიანჯევა, ურბნელი, ჩიქოვანი, ბ-ნნი ბალანჩივაძე, თუთბერიძე, შალიკაშვილი, ზარდალაშვილი, მურუსიძე, გუგუშვილი, სანიკიძე და სხვა რეჟის. **შალიკაშვილი** გამგე **ვ. ბალანჩივაძე** ადმინისტრ. **ნ. მარგანიშვილი.** (2—ნ.—1)

კვირას, 23 სექტემბერს,
**საოჯახო-აზნაურო ლარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ „პალერმოს“ ბაღში**
გაიმართება
## სეირნობა
დაუკრავს მუზიკა, საზანდარი. იქნება აგრეთვე
## ლოტო
სეირნობა გაიმართება კნ. სალომე ანდრონიკაშვილის მეთაურობით. (2—უ.—2)

## სახალხო უნივერსიტეტი
ქართული სექცია
**მოსამზადებელ კურსებისა გაიხსნა 18 სექტემბერს.**
მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი და უცოდინარნიც 16 წლისაზე არა ნაკლებნი ორისავე სქესისა.
მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ **დღე**, საღამოს 5—7 საათამდე გოგოლის ქუჩაზე, კუკიის მეორე სამოქალაქო პირველ დაწყებით სკოლის სადგომში, ხოლო დღისით 11—2 საათამდე „ისარი“-ს რედაქციაში. (4—უ.—2)

**მოითხოვეთ საუკეთესო**
## ფისქვალის ქვები
ამხ. **„ფეოდორეა“**-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—8)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**
## „ნდობამ“
დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
**კამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი.** (20—ნ.—9)

## ვკისრულობ
ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## სამასწავლებლო
ინსტიტუტის
მოწაფე ამზადებს და წრთვნის ბავშვებს საშუალო **სასწავ.** მეხუთე კლასამდის.
თანახმაა სასყიდლად ბინა და სადილი მიეცეს.
ადრესი: ნემეცკაია ქ. № 1, ბინა № 18 (4—324—3)

ტფილისი, 22 ენკენისთვე.

დაიწყო არჩევნები და ჩვენი ს.-დემოკრატები შეუდგნენ ჩვეულებრივ საზიზღარ დემაგოგიას. ისედაც თავაშვებულნი და თავხედნი, არჩევნების დროს ისინი ჰკარგავენ ყოველ ზომას და სწერენ ყველაფერს, რაც-კი ენაზე მოადგებათ. არ არის დანაშაულობა, ბოროტება, საზიზღრობა, რომელიც თავზე არ მოახვიონ თავის მოწინააღმდეგეებს. „ს.-დემოკრატები ხალხის მოსატყუებლად სოციალისტობენ, თორემ ნამდვილად, ისინი ხალხის მტრები არიან, მეფობის და ბატონ-ყმობის აღდგენა უნდათ“,—ეს არის ლეიტ-მოტივი მათ სადემაგოგიო ქადაგებისა, რომელსაც სხვა და სხვა დროს შესაფერ ლანძღვა-გინებითა და ცილისწამებით ქარგავენ და ამშვენებენ.

ყველა ამას ჩვეულნი ვართ და სრულებით არ გვიკვირს, რომ უვიც დემაგოგებს არავითარი პატივისცემა არა აქვთ იდეიურ მოწინააღმდეგეებისა. მაგრამ ყოველთვის გვაკვირვებს ამ დევ-გმირების საქციელი ხალხის მიმართ; გვაკვირვებს, როგორ ჰბედავენ ასე ხალხის აბუჩად აგდებას,—იმ ხალხისას, რომლის წინამძღვრობასა და დაცვას რიხიანად ისაკუთრებენ. ნუთუ ჩვენი მუშა-ხალხი ბრმა და უგუნურ ბრბოდ მიაჩნიათ, რომელიც ადვილად მოსატყუებელია ნამდვილ ქუჩურ დემაგოგიით? წაიკითხეთ „ჩვენი გზის“ (№ 13) მეთაური, რომლის ავტორი მუშა-ხალხს ეუბნება: „იმათ (ს.-ფედერალისტებს) უნდათ დუმაში შექმნან ქართული კოლო, რომელიც იქ ავტონომიაზე ილაყბებს, აქ-კი თავის სამშობლოში სულს ამოხდის ჩვენებურ გლეხს და მუშას, თავის ბინძურ ხელებს შეიღებავს სოციალისტურ პროლეტარიატის სისხლით და ბოლოს მოუდებს შინაურ მტრებს“; წაიკითხეთ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამაების დამწერთ არავითარი პატივისცემა არა აქვთ თვით ხალხისა, შეგნებულ მუშებისა, რადგან ამგვარ უმზგავსო და საზიზღარ ცილისწამების, ამგვარ ტყუილის გასაღება მხოლოდ ბრბოზე, შეუგნებელ და ბრმა ბრბოზე, შეიძლება და არა ჩვენებურ სოციალისტურ პროლეტარიატზე...

ამ ჟამად ჩვენმა დემაგოგებმა ხელზე დაიხვიეს ერთი ჩვენი წერილი, რომელშიაც ვამბობდით, რომ „ჩვენთვის, ქართველებისთვის, ქართველ ხალხისთვის, უფრო უმჯობესია უბრალო ქართველი პროგრესისტი წავიდეს სათათბიროში, ვიდრე სრ. რ. ს.-დ. მ. პარტიის აღგილობრივი წარმომადგენელი“; დაიხვიეს და ასტეხეს აურ-ზაური. მაგრამ დახედეთ, როგორ გამოიყენეს ჩვენი სიტყვები. „ფედერალისტებისთვის უფრო სასურველია, ვინმე უბრალო პროგრესისტი წავიდეს სათათბიროში, ვინემ **მებრძოლ კლასსის, პროლეტარიატის წარმომადგენელი**... **სოციალიზმის სიძულვილი** აიძულებს ფედერალისტებს პირდაპირ განაცხადონ, რომ სოც.-დემოკრატ დეპუტატის არჩევას მათ ურჩევნიათ უბრალო პროგრესისტის არჩევა... ქართველმა მუშამ და გლეხმა კარგათ უნდა დაიმახსოვრონ ის, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენცია (იგივე ს.-ფედ.) **გამოდის მათ წინააღმდეგ** (ესე იგი გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ) და სხვა. გადაიკითხეთ ჩვენმიერ ხაზგასმული სიტყვები და ადვილად მიაგნებთ იმ სიყალბეს, იმ „პადლოგს“, რომელსაც ჩვეულებრივ ხმარობენ ჩვენი მოკამათეები. „მებრძოლი პროლეტარიატი, სოციალიზმის სიძულვილი, გლეხების და მუშების წინააღმდეგ გამოსვლა“ აქ რა მოსატანი იყო? ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, ბატონებო, რომ ჩვენ ვებრძვით და ვეკამათებით არა პროლეტარიატს, არა სოციალისტებს, არა გლეხთა და მუშებს, არამედ თქვენ, ს.-დ. **ადგილობრივ წარმომადგენლებს**, თქვენს **არარაობასა**, უვიცობასა, სიყალბესა და შეუწყნარებელ დემაგოგობას. ჩვენ ვთქვით, რომ უბრალო პროგრესისტის გაგზავნა გვირჩევნია, ვინემ რ. ს.-დ. მ. პ. **ადგილობრივ წარმომადგენლისა**, ვთქვით და კიდევ ვიმეორებთ და კვლავაც ვიტყვით, სანამ ის იქნებით, რაც ღღესა ხართ და სანამ ის არ გახდებით, რაც ნამდვილ ს.-დემოკრატია არის.

ჩვენ კარგად ვიცით, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ს.-დემოკრატიას პროლეტარიატის წინაშე, თუმცა ვიცით მის თეორიულ მოძღვრების და პრაქტიკულ მოღვაწეობის შეცდომანიც; ჩვენ კარგად ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენმა მუშა-ხალხმა თავგანწირული და დიადი ბრძოლა დაიწყო. მაგრამ თქვენ, რომელნიც მის ბელადობას იჩემებთ,—თქვენ რა ხართ და ვინა ხართ? გახსოვთ ძველი რომაული იგავი: in cornu tauri parva sedebat musca ..

მიმოიხედეთ ირგვლივ და სთქვით, განა არის სადმე თქვენისთანა ს.-დემოკრატია? არის რუსის, პოლონელთა, ლატიშთა, ებრაელთა, გერმანელთა, იტალიელთა და სხვათა ს.-დემოკრატია, შვილი საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახისა, მაგრამ იმავე დროს შვილი თავის ერისა, მოყვარე და მოსარჩლე თავის ისტორიისა, თავის წარსულისა და ამწყოსი. სადაა ქართველი ს. დემოკრატია? თქვენა ხართ უნიადაგო და უშინაარსო „კუჭის კოსმოპოლიტები“, რომელთა მშვენიერს დახასიათებას იპოვით რუსეთის გამოჩენილ სატირიკოსის შჩედრინის ერთ-ერთ თხზულებაში. თქვენ ჭირივით გეზიზღებათ ქართველ ერის წარსული და აწმყო, როგორც ამას წინად ტრაბახობდა ერთ-ერთი თქვენი ბელადი და რაღად გიკვირსთ, თუ თქვენი წარმომადგენლობა მავნებლად მიგვაჩნია?!.

თქვენ სწერთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს „მთელ წეს-წყობილებასთან ბრძოლას საერთო ძალ-ღონით სხვა ერის დაჩაგრულ და გაყვლეფილ კლასებთან ერთად“. გვესმის: ანბანური ჭეშმარიტებაა ყოველ სოციალისტისათვის. მაგრამ გაიგეთ თქვენც, რომ **ერთად ბრძოლაც** შეიძლება და ამავე დროს თავის საკუთარ, თავის განსაკურრებულ ინტერესების დაცვაც; რომ ქართველ ხალხს თავისი საკუთარი, თავისი განსაკუთრებული ჭირ-ვარამიც აქვს, რომლის მივიწყებას ახლა-თუ არა, მომავალში (და ახლო მომავალში, ბატონებო) არ აპატიებს ხალხი თავის გზა-დაბნეულ „წარმომადგენლებს“; გაიგეთ, რომ ბებელი ინტერნაციონალიზმს არ ღალატობს, როცა ამბობს, რომ გერმანელი პროლეტარიატი არავის არ დააჩაგვრინებს თავის სამშობლოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, იარაღით დაიცავს მასაო. გაიგეთ ყველა ეს და მაშინ მიხვდებით, რატომ არ გვსურს თქვენი წარმომადგენლობა...

მაგრამ ეს საზოგადოთ, ხოლო რაც შეეხება კერძოთ მესამე სათათბიროს და ახლანდელ არჩევნებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც დაამახინჯეს ჩვენმა მოკამათეებმა ჩვენი აზრი. არა ერთხელ გაგვიმეორებია „ისარი“-ს ფურცლებზე, რომ 3 ივნისის შემდეგ, ხალხის პოლიტიკურ უფლების დათრგუნვისა და ყველა იმის შემდეგ, რაც წინანდელ ორ სათათბიროს დამართა რეაქციამ, სოციალისტურს და რევოლიუციონურს პარტიებს აღარ ჰმართებთ სათათბიროში წასვლა და ბიუროკრატიასთან ჩხირკედელაობა. ამისთვის უფრო გამოდგებიან კადეტები და, ვინ იცის, იქნება ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ უფრო მეტი წააგლიჯოს ახლანდელ პირობებში მთავრობას, ვიდრე სოციალისტურმა პარტიებმა, რასაკვირველია, სათათბიროში. სოციალისტურ და რევოლიუციონურ პარტიებს-კი ამ ჟამად პარლამენტში გარეშე აქვთ დიდი და უფრო მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც მთელ მათ ძალ-ღონესა და ენერგიას მოითხოვს. ჩვენ გვესმის კიდევ პოლონელ სოციალისტების ტაქტიკა, რომელნიც სათათბიროში მიდიან მხოლოდ

იმისთვის, რომ პოლონეთის, პოლონელ მშრომელ ხალხის სახელით პროტესტი გამოუცხადონ მთავრობას და პოლიტიკური დემონსტრაცია მოახდინონ 3 ივნისის კანონის წინააღმდეგ; მაგრამ ვერ გაგვიგია, რა აზრი აქვს სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა წამოსკუპებას მომავალ სათათბიროში. კადეტების წინააღმდეგობა? ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ბრძოლა? მაგრა ეს ხომ ნაძღვილი სისულელე იქნება? კადეტებს, ბურჟუაზიულ ოპოზიციას, დიდი ბრძოლა მოელისთ მარჯვნით, ხულიგანებთან; მარცხნიდანაც თავდასხმა ამ დროს ხომ შეცდომა იქნება, რომელსაც ასე მეევრმეტეველურად ჰგმობს „თვით პლეხანოვი“ გაზეთ „ტოვარიშჩ“-ის ერთ-ერთ მახლობელ ნომერში?!.

ვამეორებთ, ჩვენის აზრით, სოციალისტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ახლანდელ სათაობიროში. იქნება ჩვენ ვცდეიით, ოოცა ითიკოტ ვიცავთ, ძაგრამ ასეთია რწმენა და პოზიცია ს. ფედერალისტებისა, რამდენჯერმე მკაფიოდ და ნათლად გამოთქმული, და ახლა მკითხველმა დაიფასოს „ჩვენი გზის“ სიყალბე, ვითომ ფედერალისტები “სოციალიზმის“-ადმი სიძულვილის გამო ამჯობინებენ უბრალო პროგრესისტის გაგზავნას ..

წაბრძანდით, ბატონებო, თუ-კი ასე ცხარედ გწადიათ, მაგრამ მუშა-ხალხს ნუ ატყუებთ, ვითომ მიწასა და თავისუფლებას მოუპოვებთ, ვითომ ხელს შეუწყობთ პროლეტარიატის კლასსობრივ შეგნებას და მის შეკავშირებას მომავალ მესაიე სათათბიროში ბრძოლითა და მოღვაწეობით.

## ᲮᲝᲚᲔᲠᲐ

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკაში 17 სექტემბერს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 6.

**კოსტრომა.** 12 სექტემბერს ავად გახდა 5, გარდაიცვალა 4; კომენშაში ავად გახდა 28, გარდაიცვალა 20, მაზრეში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 6.

**ვიატკა.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2; მაზრებში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3.

**სიმბირსკი.** მაზრებში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მაზრებში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 391, გარდაიცვალა 184

**სამარა.** ქალაქში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მაზრებში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 460, გარდაიცვალა 243.

**სარატოვი.** ქალაქში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მაზრებში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 4.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

**სამგლოვიარო დეპეშა.** ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო ჩვენს რედაქციას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ლეობენელ (ავსტრ.) პოლონელებისაგან: „ეულითად სამძიმარს ვუცხადებთ ქართველ ერს მისი დიდებულ მამულიშვილისა და მწერლის ილია ჭავჭავაძის ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლაში ტრაგიკულ სიკვდილის გამო. ლეობენელი პოლონელები“.

**სოც. დემოკ. პარტიის ბათუმის კომიტეტის დაპატიმრება** „ჩერნომ. ვესტ.“-ის უკანასკნელ ნომერში ვკითხულობთ: „კინტრიშის ნაწილში, ლიმანმელეში 15 ენკენისთვეს დაუპატიმრეს სოც. დემ. პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრნი სილოვან ცერაძე, აკაკი ხონელიძე და დიმიტრი გოგონაძე, რომელთაც აღმოაჩნდათ რუსული და ქართული წიგნები, პროკლამაციები და 19 ხელთნაწერი, საიდანაც აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებულნი ეკუთვნიან ბათუმის კომიტეტს“.

**სოფლელთა დაჯარიმება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ასი თუმნით დაჯარიმეს სოფლები ბაცერხანი (ახალც. მაზრა), კოკია და ტოკა (ახალქ. მაზრა).

**დაჭრა.** 20 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ბაყლების ქუჩაზე უცნობმა ხანჯლით დასჭრა თომა ქარელი და მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

**უცაბედი მკვლელობა.** სოფელ ფშაველში, თიანეთის მაზრაში, ალექსი იმნაძეს უცაბედად რევოლვერი გაუვარდა. ტყვია მოხვდა თავად გიორგი ბაბადიშვილის 11 წლის ქალს მელოს, რომელმაც იქვე დალია სული.

**ფულის გატაცება.** 20 სექტემბერს ღამის 11 საათზე, ელისაბეტის ქუჩაზე დატმონიანცის ფურნეში შეეარდა 10 შეიარაღებული კაცი, რომელთაც წაართვეს ფურნის პატრონს 700 მანეთი და მიიმალნენ.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს დუშეთის მაზრის ბაზალეთის მცხოვრები შაქრო ცოცხალიშვილი, რომელსაც ჰბრალდება დუშეთში ივანე მარტირუზოვს მოკვლა 31 აგვისტოს. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ გ. მაროევს, ა. გორდონაშვილს და დავით ლალიაშვილს. დააჯარიმეს: ხუთი თუმნით სახლის პატრონები მ. მაკაროვი, ე. ხაჩატუროვი, ნ. ტერუნოვი, დ. მოსესოვი, კ. გევორკოვი, ს. ახშარუმოვი, ა. აგასოვი, ე. ღარიბოვი, მ. მაკაროვი, ლ. არუთინოვი, ნ. არუთინოვი, ა. პაპუნოვი, მანუკიანცი და გავრილოვი; 25 მანეთით სახლის პატრონი გ. გოლაძე. საავადმყოფოდ დადგენილებათა დარღვევისთვის სამი თვით დაუპატიმრეს ცხინვალელი ი. ხაკ დავარიშვილი.

**მოკლული ქალი.** 20 ენკენისთვეს თეთრ დუქანსა და დარიალის ბაღის შუა. მტკვრის ნაპირზე იპოვეს მოკლულ ქალის გვამი. ქალი გზაზე მოუკლავთ, შემდეგ მისი გვამი ძირს ჩაუთრევიათ, გაუხდიათ სცვალი და ატლასის კაბა და დაუფარებიათ გვამისთვის საოცარი ისარის, რომ გვამი აგერ ორი დღე და ღამეა გდია ერთი ვერსის სიშორეზე ქალაქიდან და ჯერაც ვერ მიუყვანიათ გამომძიებელი.

**ნაძალადევის სამოსახლკარო ადგილების შეფასება.** ნაძალადევის დამფასებელმა კომისიამ დაამთავრა სამოსახლო მიწების შეფასება. ეს მიწები აღემატება 140000 ოთხკუთხ საჟენს. 1900 სახლის მქონეა და 13000 სული. ეს შეფასება ამ ახლო მომავალში წარედგინება ქალაქის საბჭოს განსახილველად. კომისია, რომელმაც ეს ადგილები შეაფასა, შესდგება 10 კაცისაგან, იგი მუშაობდა ექვსი თვის განმავლობაში.

**დეპუტაცია ბათუმიდან.** 20 სექტემბერს ბათუმიდან ტფილისში ჩამოვიდა დეპუტაცია. დეპუტაციაში სამი კაცია— ს. გაგოშიძე, მ. საბახტარიშვილი და ს. მენაბდე. ესენი აირჩიეს სახელმწიფო მიწის მოიჯარადრეებმა, ხუთასმა კაცმა. დეპუტაციამ თხოვნით მიმართა კავკასიის ნამესტნიკს. ნამესტნიკმა მოისმინა სიტყვა და მიიღო თხოვნა. ეს ათი წელიწადი იქნება, რაც ამ მოიჯარადრეებს ბათუმის მიდამოებში მიწები აქვთ აღებული. საიჯარო გადასახადს იხდიან, მაგრამ სახლების ჩადგმის ნებას არ აძლევენ. დეპუტაცია იმისთვის ჩამოვიდა, რომ ითხოვოს— მისცენ სახლების ჩადგმისა და შემდეგ ადგილების გამოსყიდვის ნება.

**მიმოსვლის აღდგენა.** ორი წლის წინად შეწყვეტილი მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზაზე ხელმეორედ დაიწყება მომავალ კვირაში. ჯერ ჯერობით ფოსტა იმუშავებს უფრო სახაზინო საჭიროებისთვის. წინად გზა ინახავდა 940 ცხენს, ეხლა კი მხოლოდ 246 ცხენი იქნება.

**ჩხრეკა.** 20 სექტემბერს ქალაქის ქუჩებზე გაძლიერებული პატრულები დადიოდნენ. საღამოთი მადათოვის კუნძულზე გაჩხრიკეს ვაჭრები, მეპურეები, ხელოსნები და მცხოვრებლები. ვერ გავიგეთ, აღმოაჩინეს რამე თუ არა. ბევრნი დააპატიმრეს და საპოლიციო ნაწილში წაიყვანეს.

**პეტერბურგში წასვლა.** თავ. ვლ. მიქელაძე, თავ. გ. ბაგრატიონ დავითიშვილი და ანდრია ერისთავი, რომელნიც თავად-აზნაურობამ აირჩია პეტერბურგში გასაგზავნად, 15 ოქტომბერს წავლენ პეტერბურგში. მეოთხე ამომრჩეველი დ. ზ. მელიქიშვილი ამ ჟამად პეტერბურგშია. ჭავჭავაძეს ნაცვლად აღნიშნულ გუბერნიებიდან მიმავალნი ამომრჩეველნი საბჭოს წევრის კანდიდატებად ასახელებენ ვ. ს. მიქელაძესა და დ. ზ. მელიქიშვილს.

**ვართანიანცის დათხოვნა.** ქალაქის გამგეობამ სულ დაითხოვა სამსახურიდან ბეითალი ვართანიანცი, რომელიც ამ სამი თუ ოთხი დღის წინად საყასბოდან საქონლის ბაკში გადაიყვანა და აქ მისცა ადგილი.

**მოხსენება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში საარქეოლოგიო საზოგადოების კრებაზე ტერ-ავეტისიანი წაიკითხავს შემდეგ მოხსენებას: „სომხურ ხელთნაწერების ჯულფის კოლექციის მნიშვნელობა სომხურ ლიტერატურაში.“

**ქართ. საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება.** ხუთშაბათს, 20 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე ტფ. სათავად-აზნაურო საკრებულოში მოხდა ახლად დაარსებულ „ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების“ პირველი საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ისტორიკოს-არქეოლოგი ეექვთიმე თაყაიშვილი. კრების თავმჯდომარის წინადადებით, „საზოგადოებამ“ ფეხზე ადგომით პატივი სცა დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. ამას შემდეგ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება წესდების დამტკიცების შესახებ. როგორც სჩანს, წესდება ფარბოა: იგი შეეხება ისტორიისა და ეტნოგრაფიის ყოველ დარგს და სამოქმედო რაიონად მთელი კავკასია და მეზობელი მხარეები აქვს დანიშნული. წესდების ძალით საზოგადოებას უფლება აქვს დააარსოს ბიბლიოთეკა და მუზეუმი. კრებას ასარჩევი ჰყავდა საზოგადოების საბჭო, რომელიც ცხრა წევრისაგან შესდგება, და სარევიზიო კომისია. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ საბჭოს თავმჯდომარედ— ექ. თაყაიშვილი; თავმჯდომარის მოადგილედ—დავ. კარიჭაშვილი; ხაზინადრად— ალ. ივ. სარაჯიშვილი; ბიბლიოთეკის გამგედ—ილ. ფერაძე; მდივნად—ს. გორგაძე. საბჭოს წევრებად: ალექს. ყიფშიძე, მოსე ჯანაშვილი, იუსტ. აბულაძე და მღ. პოლ. კარბელაშვილი; მათ კანდიდატებად: ალექს. მდივანი მღვ. კალ. ცინცაძე და დეკანოზი კორნ. კეკელიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: ივ. დიმ. აფხაზი, გრიგ. ყიფშიძე და კონსტ. ზაქ. მაყაშვილი.

**ქართული გიმნაზია.** ტფ. ქართულ გიმნაზიაში გვიანდება სწავლა. წელს მრავალი ახალგაზდა მიაწყდა გიმნაზიას. მთხოვნელი ბევრი იყო არა თუ მოსამზადებელ, გიმნაზიურ კლასებშიაც. პირველ გიმნაზიურ კლასში, მაგალითად, იმდენი მსურველი იყო, რომ შეუძლებელი გახდა ყველას მიღება ვაკანსიის უქონლობისა გამო. ამ გარემოებამ აიძულა 60 მოსწავლის მშობლები, თანხმობა განეცხადებინათ პირველ კლასთან პარალელურ განყოფილების შენახვაზე. ეს განცხადება განუხილავს საპედაგოგიო საბჭოსა და გამგე კომიტეტის შეერთებულ სხდომას და გადაუწყვეტია მშობელთა სურვილის განხორციელება იმ პირობით, თუ მშობლები კურსის დამთავრებამდე იკისრებენ ამ განყოფილების შენახვას. ამ წელს აღნიშნულ კლასის შენახვა თითო მშობელს დაუჯდება 60 მანეთი და ფულიც ეხლავე უნდა შეიტანონ. გუშინ, 21 სექტემბერს, აღნიშნულ კლასში მისაღები ეგზამენები უკვე დაიწყო. მოვიყვანთ აქვე სტატისტიკურ ცნობებს გიმნაზიაში შესვლის მსურველთა შესახებ. პირველ მოსამზადებელ კლასში შესვლის სურვილი განუცხადებია 272 ბავშვს. მიუღიათ 100 ყმაწვილი. უფროსს მოსამზადებელ კლასში უარი ითხოვნია 82 ყმაწვილს, მაგრამ ყველას უარი გამოეცხადა უადგილობისა გამო. გიმნაზიურ კლასებში შესვლის სურვილი გამოუცხადებია: 2 კლასში 17, 3—17, 4—12, 5—13, 6—18, 7—6 და 8—5. გარდა მე 4, 5 და 6 კლასისა ყველას უარი გამოეცხადა. აღნიშნულ კლასებში მისაღებად ეგზამენები უკვე დაიწყო. მოსალოდნელია, რომ ეგზამენები ამ თვის ბოლომდე დასრულდება, ასე რომ სწავლა 1 ოქტომბრიდან დაიწყება.

**გორის მაზრის უფროსი.** ტფ. მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ბაქრაძე დაინიშნა გორის მაზრის უფროსად.

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ილია ჭავჭავაძე,

**როგორც მგოსანი**

(შემდეგი*)

**საზოგადო კაცობრიული საკითხნი.**

ჩვენ განგებ შევჩერდით დიდხანს ჭავჭავაძის იმ ნაწერებზე, რომელიც შეეხებ ბატონ-ყმობას და სამშობლოს ბედიღბალს. უკვე ვნახეთ, რომ ილია ჭავჭავაძე ყველა ამ საკითხს სწყვეტს საზოგადო კაცობრიულ საზომით, რომ ბატონ-ყმობას ჰგმობს, როგორც ადამიანურ ღირსების შემლახველ დაწესებულებას, სამშობლოს სიყვარულს კი ამყარებს ყოველ ადამიანის ძირითად საფუძველზედ —თავისუფლების გრძნობაზედ. გარდა ამისა, ჩვენ ისიც ვიცით, რომ სტუდენტობის დროს და შემდეგაც მას ეს საზოგადო კაცობრიული მხარე თვალ წინ ედგა. ჯერ კიდევ მეორე ლექსში „სანთელი“ იგი სჩივის, რომ როგორც სანთელი, „ეგრედაც კაცი ძლიერი ჰქრება. მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუქა-და გამხმარი მტვერი“. სხვა ადგილა ჩვენ ვხედავთ, რომ მგოსანს ისე არაფრისა არ ეშინიან, როგორც „თავის თავის არაფრობისა“, იგი ამბობს:

ცრწოდე სულელო . . . . . .
. . . . . .
ნუ თუ არ იცი რას გვამცნევდა ღმერთი ჯვარცმული,
რომ ბძანა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენც სრულ“.

ამნაირად, ჯერ ისევ სტუდენტობის დროს გამოიხატა და გამოირკვა ის საზომი, რომლითაც მგოსანი ჰსჯიდა თავის თავს და საზოგადოებას. ისიც ვიცით, რომ ამ განსჯამ იმისთვის არა სასურველი ნაყოფი მოიტანა იმით, რომ მგოსნის გულნა უფრო დანაღვლიანდა, უფრო ნაკლების სასოებით უყურებდა მომავალს. იგი სჩივის:

გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება
თვალწინ მიყრია უკვეთესნი ყვავილნი მჭკნარნი.

რასაკვირველია, ამ სარწმუნოების დაკარგვამ დაჰბადა ის, რომ ახალგაზდა მგოსანი თავის თავს დაბერებულად სთვლის.

ვაი მას, ვინაც ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი.

რაკი ასეთის ტალღებით დაჰხვდა მას ცხოვრება, რაკი უკეთესი იმედები გაუცრუვდა და იმის გულში გამეფდა მარტო რაღაც გამოურკვეველი გრძნობა, თითქოს გულიც გაუქვავდა—„არც სიძულვილი, არც სიყვარული“, ეჭვი არ არის, მგოსანს გაუჩნდებოდა გრძნობა შიშის და მოკრძალებისა ცხოვრების წინაშე. ჯერ ისევ სტუდენტი იყო, როცა ამისთანა გრძნობა თანა სდევდა: იგი ეხვეწება ცხოვრების მდინარეს, ნუ შეჭრეს იმის ნავს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან. ამნაირის გრძნობითა და თვალთსაზრისით გადასინჯა მან წუთისოფლის უსწორ-მასწორობა, ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა და უფრო ღრმად იგრძნო სიდიადე და სიძნელე იმ პრობლემისა, რომელსაც ეძახიან საზოგადოებრივ ცხოვრებას და ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას. განა წოდებრივი უსწორ-მასწორობა მოისპობა ბატონ-ყმობის გადავარდნით? განა ის უფსკრული, რომელიც არსებობდა ორ წოდების ფსიხოლოგიის მორის, შეივსო? რასაკვირველია, არა. მაგრამ განა მარტო წოდებრივი უსწორ-მასწორობაა მიზეზი ადამიანთ ერთმანეთის გაუგებრობისა, განა მარტო ეკონომიური სარჩულია მიზეზი ბედისა და უბედობის? „ოთარაანთ ქვრივ“-ში დედა ჰგრძნობს, რომ თავის ცნობიერების ნიადაგზედ იბრძვის ორნაირი გრძნობა: ღმერთი, როგორც ამას საზოგადოდ ეძახიან, „ეგოცენტრიული“, ესე იგი ისეთი, რომელიც მარტო პირადის ინტერესით ხელმძღვანელობს; მეორე კი გრძნობა სხვისადმი (აქ შვილისადმი) სიყვარულია. და თუმცა ასარჩევი ძვალია, მაგრამ აქაც კი ჰგრძნობს ოთარაანთ ქვრივი, რომ საყვარელ შვილის გულისათვისაც კი ძნელია თავის გრძნობათა დათმობა; მაშ ვიღას მოეთხოვება, რომ გაიგოს სულისგოდება ვიღაცა მეწისქვილე სოსიასი, რომელსაც თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში არც კი ჰღირსებია ის ბედნიერი წამი, რომ სხვის მიერ გაგებულ ყოფილიყოს. ამნაირად რთულდება იმ საკითხების ფერადი გრეხილი, რომელიც განუყრელად თან სდევდა ჩვენს მგოსანს. თავის საამბობლოს ვიწრო ფარგალიდან გამომდინარეობს მისი მსოფლიო შეხედულება, და მგოსანი თვით ადამიანის ძირითად საფუძველზედ აარჩევს და არკვევს იმნაირსა კითხვებს, რომელნიც შეადგენენ კაცობრიობის ცხოვრებისა და არსებობის სათავეს. მას ინტერესებს ის ფსიხოლოგიური სარჩული, რომელზედაც ხდება ადამიანთა უოთიერთ დამოკიდებულება, და თუმცა მის გადაწყვეტა არ ძალუძს, მაგრამ იმის ფსიხოლოგიურ ანალიზს აქაც ზეგარდმო ხიბი ატყვია. რასაკვირველია, ყველაზე თვალსაჩინო გაუგებრობა ის წოდებრივ უსწორ-მასწორობაა, ის კედელია, რომელიც ვერ დაანგრია ბატონ-ყმობის გადავარდნამ.

თავის „ოთარაანთ ქვრივით“ მგოსანი ამტკიცებს, რომ ამ კედლის დანგრევა შეუძლებელიცაა ჯერ-ჯერობით, რადგან იგი ისტორიულად არის აღმოცენებული და იმისი დანგრევაც თანდათან იქნება შესაძლებელი, რადგან ორივე წოდება აქამდისაც და ეხლაც იზრდება სულ სხვა და სხვა ზნეობრივ ატმოსფერაში და იდეალებზე. მათ არ შეუძლიანთ ერთმანეთის გაგება, რადგან მათი ფსიხოლოგია აშენებულია სულ სხვა და სხვა ნიადაგზედ, ამასთან სწორედ ისეთზედ, რომელნიც ერთმანეთს სპობენ. ჩვენ იშვიათად შეგვხვედრია არა თუ ჩვენის, არამედ უცხოელების სიტყვა-კაზმულ მწერლობაშიაც-კი ამნაირი ღრმა ფსიხოლოგიური ანალიზი უპირველეს სოციოლოგიურ პრობლემისა. უფრო მეტის თქმაც შეგვიძლიან: თვით სოციალურ ფსიხოლოგიის ლიტერატურაშიაც კი ბევრი არ მოიპოვება ასე სავსებით გადამწყვეტი ფსიხოლოგიური ახსნა წოდებრივ ურთიერთობისა ცხოვრების ნიადაგზედ. ჩვენს მგოსანს რომ სხვა არაფერი დაეწერა, ეს იც საკმაო იქნებოდა, იმის სახელს უპირველესი მნიშვნელობა ჰქონოდა ჩვენს ლიტერატურაში.

საყურადღებოა, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ დაწერილია სხვა მოთხრობების შემდეგ, მაშინ, როცა ბატონ-ყმობა უკვე გადავარდნილი იყო, და ბევრი გონიერი და გულკეთილი ადამიანი თვით თავადაზნაურთა წრიდან სცდილობდა როგორმე იმ კვალის აღგვას, რომელიც ბატონყმობამ დაჰსტოვა. აი სწორედ ამ დროს მგოსანი გადაჭრით ამბობს, რომ თუმცა ორივეს მხრივ თითქოს ხელია გაწვდენილი, მაგრამ ამ ორ სხვა და სხვა ქვეყნის, ამ ორ სხვა და სხვა შეხედულობის ხალხთ მორიგება და ერთად მოთავსება შეუძლებელია.

ახალთაობის გემოზედ აღზრდილი დაძმანი—არჩილი და კესო, სცხოვრობენ სოფელში და რამდენადაც შესაძლებელია, სცდილობენ უფსკრულის შეესებას. პირადად გულ-კეთილი და შემბრალებელი და-ძმანი ავტორს არა ჰყავს დასახული წინდაახედულ ადამიანებად. მაგრამ ასეთი დახასიათება იმით აიხსნება, რომ ეს იყო საზოგადო სენი ტეტიათა მოტრფიალეთა, რომელნიც გლეხებს აიდეალებდნენ და ვერ აჰჩენენ იმას, რაც იმათ წინ ხდებოდა, თუნდაც რომ სდომნოდათ სულით და გულით ამის შემჩნევა და აღსრულება. ეს ნაკლი—ცხოვრების სინამდვილის გაუგებრობისა და სინამდვილის ნაცვლად იდეალის წამოყენებისა—იყო მიზეზი „ტეტიათა მოტრფიალეთა“ მოღვაწეობის უშედეგობისა. არჩილი და კესო ამნაირივე ტეტიათა მოტრფიალენი არიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ძალუძთ, როცა მარცხი მოსდით, ახსნან, თუ რისაგან მოუვიდათ ეს მარცხი და მიზეზი ეძებონ არა გლეხთა მოუმზადებლობაში, არამედ თავიანთ ბუნებაში. ერთის სიტყვით, მგოსანს გამოჰყავს აქ ცხოვრების მიერ სასაცილოდ გამხდარი „ტეტიათა მოტრფიალე“.

სანამ თვით მოთხრობის გარჩევას შევუდგებოდეთ, გვსურს ერთს გარემოებას მივაქციოთ ყურადღება. ჩვენს პრესსაში მომეტებულს ნაწილს ეგონა, რომ რაკი გაზეთ „ივერიას“ „ტეტიათამოტრფიალეებმა“ შეაფარეს თავი, ილია ჭავჭავაძეც ამ ჯგუფს ეკუთვნოდა. ეს ეწინააღმდეგება, ჯერ ერთი, მგოსნის პუბლიცისტიკურ ნაწერებს, რადგან მას დავა ჰქონდა სწორედ ტეტიათა-მოტრფიალეებთან, და მეორეც, განა „ოთარაანთ ქვრივი“ საუკეთესო ანდერძის აგება არაა ამ მოძრაობისა, არა იმიტომ, რომ იგი სიმპატიური არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ამ მოძრაობაში მგრძნობიერებამ სჭარბა გონიერებას და ჭკუას, და ამიტომაც ცხოვრების მიერ გარიყულ იქმნა. ჭეშმარიტად, გაუგებრობაა, რომ იმ კაცს, რო-

✦ ამას წინად, როგორც ვწერდით, სადგურ სანაინთან ავაზაკებმა დატმეეს ორი ქალი: ქალანთაროგისა და აბოგაინტისა. ქალანთაროგისა ავაზაკებს უკვე გაუნთავისუფლებია.

✦ თიანეთიდან იტყობინებიან: საყოფნეს სამეგრელოზე დეკემბ. 900 ცხვრები მოსტაცეს მიხა მოზაიძესა და ურური ბაკურიძეს.

✦ 20 სექტ. ბოდიტიამ დაამტვრია ვასილ ყაშიაშვილი, რომელსაც ადმოაჩნდა მეტეხის ციხის უფროსის ბაბიჩეგის რეგოლვერი. ბაბიჩეგს ეს რეგოლვერი წრეულს წაართვეს ლუარსაბის ქუჩაზე.

✦ ჩვენ გვიხოვენ დავბეჭდოთ, რომ კვირას, 28 სეტემბერს 1907 წ. ორთ-ჭალის თეატრში (სასეირნო ბაღი „ნად-კეროი“) წარმოდგენილი იქნება, 1. „პეპო“ (კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა) და 2. ახალი პიესა „ბოიკოტი“ (ვოდევილი 1 მოქმ. ი. გრიშაშვილისა). წარმოდგენა დაიწყება საღამოს 7 საათზედ.

✦ ვაჭარმა არუთინ ავაკოვმა განუცხადა პოლიციას, რომ მისმა ნოქარმა აკოფოვმა მოჰპარა მას 214 მან. და მიიმალა. პოლიციამ აკოფოვი დააპატიმრა.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**სოხუმი.** სამოსამართლო პალატის სესიამ, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, გაარჩია საქმე თედო სახოკიასი და იმის ამხანაგების გურჯუასი ა მატახერიასი. თედო სახოკიას გადაუწყვიტეს უფლებების ჩამორთმევა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება, გურჯუას—ერთი წლით დაპატიმრება; მატახერია გაამართლეს. ბრალდებულთ იცავდნენ პეტერბურგელი ვექილები ერისთავი და ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და ტფილისელები იოსებ ბარათაშვილი და გიორგი გვაზავა. თედო სახოკია თავდებით გამოუშვეს საპყრობილედან.

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

**დ. სენაკი.** კახშირებულმა მკვლელობამ, განსაკუთრებით აბაშის საბოქაულოში, ფეხზე დააყენა მთელი მაზრის ადმინისტრაცია. ბოდიტიამ უკიდურეს ზომებს მიმართა. იმ ორი კვირის წინად აბაშის საზოგადოებაში მოჭკდეს დავით ქოიავა და რადგან ახლა თაობის დროს ქოიავა ჯაშუშად იყო გამოცხადებული, ბოდიტიამ ის დასკვნა გაშოიუანა, რომ მკვლელობა ბოდიტიკურ ნიადაგზე მოხდა. შეუდგა მკვლელების ადმოჩენას. ამისათვის მომართა მარტივს, მაგრამ უტეხარ საშუალებას: ბოქაულმა გეგენავამ შეჭკრიბა საზოგადოება და კამოუცხადა, ვიდრე მკვლელებს და მშვიდობიანობის დამრღვევთ არ დასახელებთ, არსად გაგიშვებთ. თქმა და ქმნა ერთი იყო. ხუთი დღის განმავლობაში მთელი საზოგადოება დატუსაღებული და მშიერ-მწყურვალი იყო. ბოდოს ხალხმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ბატარა ხანს უკან შეინანია. დასახელება მკვლელებისა და ბოდიტიკურ პარტიების მეთაურებისა ხალხმა არ იტვირთვა, ამის მაგივრად განცხადა სურვილი, რომ ფარულის კენჭის ერით დავასახელებთ მაგნე კაცებსაო. ბოდიტია, რასაკვირველია, დასთანხმდა და კენჭის ერით დასახელებული 18 კაცი ერთი თვალის დახამხამებაზე შეიპყრა. დატრიალდა საოფლად სატყლაობა. შეუურობიდთ ოჯახობანი მიეტნენ უზომო მწუხარებას და ამის მნახველმა ხალხმა შეიგნო, თუ რა დიდი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ რადას კაკუოობდა! როგორც ამბობენ, დატუსაღებულთ მოელოთ ადმინისტრატიული გადასახლება.

მტირე ომელი სიმინდის მოსავლისა ხალხს კეუმტეუნდა. სიმინდი ვერ დამწიფდა და დაყინებულ წვიმებისა და აქედან წარმომდგარი სიგრილის გამო, მას ადარაფერი მოეტება და ხალხი იძულებულია ზეინტლი სიმინდი მოსტეხოს. მოსავალი სიმინდისა შარშანდელზე ნაკლები იქნება.

**ლანჩხუთი.** ოდესდაც აუვაგებული დაბა ლანჩხუთი დღეს ეოგალად დაბეჩავებული და გადატაკებული. ამისი მიზეზი ეხლანდელი ჩვეულებრივი ბირობებია, რომელიც ხალხის აკლებაა-ყოფაკებას იწვევს. არც ერთ ბრაგინციაში არ მოხდარა ასეთი შეუბრალებელი გულ-საკლავი დარბევა, რაგორიც აქ მოხდა. აქ არც ერთი მოვაკრე და მცხოვრები არ დარჩენილა გაუცარცვი. დღეს რომ ლანჩხუთის ბაზარი დაიარო, თვალებზე ცრემლი მოგადგებათ. ერთ დროში სიცოცხლით სავსე ბაზარი, დღეს სამარისებურ სიჩუმეშია არ არის არც მეიდეული არც გამეიდეული. ნახევარი დუქნები დაკეტილია, მხოლოდ ვინც მიაკითხა, თავიანთ ცარიელ და ლანგრეულ დუქნებს შესცქერიან თარეულებს გულზედ ხელ დაკრეფილნი.

ეგეკა ამის გარდა შიმშილიც მოსალოდნელია.

მოელი ოთხი თვე ლანჩხუთის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ეოგელდღიურ სარჩოს ეიღებდა. სიმინდი ფეთი ფასობდა 1 მ. 20 კ. და ხშირად არც იშოვებოდა. შიმშილობას ხელი შეუწყო ეგზეკუციამ, სხვა და სხ. გადასახადმა, ეოგელ კვირაში ორ-სამ ერიდობებმა და სხ... დატუსაღება და გადასახადა ხომ ჩვეულებრივ მოგდესად არის გადაქცეული. ისე დღე არ გაივლის, რომ ბოქაულმა ორი სამი არ დასჯიმრეს და ოზურგეთში არ გაგზავნეს. ამას წინად ეტაფით ლანჩხუთიდან ოზურგეთში გაგზავნეს 85 წლის მოხუცი ვაჭარი ზურაბ ედლინტი, რომელმაც ალბრალებენ ეუმბარებისა და იარაღის ტარებას.

**შეგნებული.**

---

**ლეჩხუმი.** სატოდავი მხარეა ლეჩხუმი, უგზო-უკვლო, უბატრონო, კვირაში ერთხელ მხოდოდ თუ მოაწვევს აქ ქმეუნის ხმა. რაც დრო გადის, სულ უკან და უკან იხევა აქაური კეთილდღეობა. ასეა როდესაც კერძო პირი თუ საზოგადოება სხვისი მოიმეადა, სხვას შეჭეუურებს და თვით კი მოკლებულია უნარს, ენერგიას, იმ კეთილშობილურს თვისებას, რომელსაც შეშოქმედება ჭქვიან. რეაქციის გამეფებამდის კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდა ქუთაისიდან ფოსტა, ეხლა უფიქრნათ ქმეუნის ზირისუფლებს, რომ ასეთი სუდიერი ფუფუნება მეტი ბარგის ლეჩხუმისათვისაო და მხოდოდ ოთხშაბათობით მოაკინიდებენ ხოდმე ფოსტას.

თავზარდამტეემა ამბავმა იდიას ულვთო, უდმობელ მკვლელობამ ორბელ-ცაგერის მხარეს მხოდოდ 3 სექტემბერს მოატანა და აუწერელი მწუხარება კამოიწვია. შემოხვევით ეს ერთი ხანია აქა ვცხოვრობ და სწორე მოგახსენოთ სოფლური ამბის დამსწრე ვგხდი. თუ რამდენად დახდოვებული იყო ხალხის გულთან იდია ჭაგჭაკაძე, არ ვიცოდი.—ბატონო, ეს უბედურობა მოხდა? ვინ უნდა იყოს იყდა, რომელმაც ეს ჯოჯოხეთი დაატრიალა ჩვენში?“ აი ჩვეულებრივი ამ დროის მიგებება ლეჩხუმელთა. სოფელი არ არის, სადაც კი ხმა მიწვდა იდიას გარდაცვალებისა, რომ ბანაშვილი არ გადაესადოთ. ორბელს, ასად-ჭალას, სპათა-ეკრს, უცხერს, დასურიაშს, ოფურეშს, რეხმეულს, დაიადაშს, ჯგეშს და სხვა მრავალ სოფლებში გადაიხადეს ბანაშვილები აუარებელ ხალხის თანდასწრებით, ზოგან ორ-ორჯერ. 10 სექტემბერს ცაგერს კრება იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრებულთა ასარჩევად. კრება გახსნა ი. გელოვანმა, რომელმაც უწინარეს ეოგელისა მიმართა დამსწრეთ სამძიმარის სიტყვით იდიას კარდაცვალების გამო. ამის შემდეგ კრება გაემართა ცაგერის ძველს ტაძარში ბანაშვილზე. მდ. ი. მარგიანმა ბანაშვილის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა. **მ. მ.**

---

**ფოთი.** უკვლავ მგოსნის იდიას ტრაგიკულად სიკვდილმა ფოთის მცხოვრებლებსაც თავზარი დასცა. პირველად არავის სჯერდა ასეთი ვერაგული სიკვდილი, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, მწუხარებას საზღვარი ადარა ჰქონდა. ეველა, ვინაც ცოტათ თუ ბევრად იცნობდა მგოსნის ნაწერებს, ჰგლოვობდა. მხოდოდ, რასაკვირველია, ზოგიერთ ჩვენი კეთხის ნაძირალებს თავი არ შეუწუხებიათ. პირველად წირვა და ბანაშვილი გადასახდევინა ქალაქის კამეობამ. დაესწრო აუარებელი ხალხი. 2—8—9 სექტემბერს მ. კლემენტო ჭანტურაიამ წმინდან იოდოხის ეკლესიაში (ნახუტურში) გადიხადა წირვა და ბანაშვილი. ამასთანავე წარმოსთქვა სიტყვა.

დასაფლავების დღეს ე. ი., 9 სექტემბერს, ქალაქის კამეობის წევრის დ. ურუაშვილის კანკარეულებით გადახდილ იქნა ბანაშვილი. ხალხი ბოდოად დაესწრო. კამეობის მოსამსახურენი, განსაკუთრებით ქართველობა, სამგლოვიარო ნიშანში იყვნენ გახვეულნი. წირვის შემდეგ საკათედრო ტაძარში ბობოხიძემ მოკლე, მკრთამ კრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. **მეგობარი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ზიათურა.** ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების კამეობა შეუდგა წარმოდგენების მართვას. ბ-ნ ვ. შალიკაშვილის და ქ-ნ ჯავახიშვილის ქუთაისში წასვლის შემდეგ კამეობამ მოიწვია მსახიობნი ქ-ნი მ. მდივანი და ბ-ნი ვას. ურუშაძე, ეს უკანასკნელი რეჟისორად. სეზონი გახსნა 15 ენკენ., ამ დღეს დადგეს ნ. კარეევის ცნობილი პიესა „უბედური ნაბიჯი“.

პიესის დაწყებამდის გაიმართა აპოთეოზი ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემლად. ფარდას (სცენაზე) ირგვლივ შავი, სამგლოვიარო ლენტები ჰქონდა შემოვლებული და ფარდის შუა, ზემო კედელზე ეკიდა ილიას საკმაოდ დიდი სურათი, რომელსაც პიესის გათავებამდის ანათებდა მის წინ მოწყობილი პაწია ელექტრონის შუშა. აპოთეოზის დროს შუა სცენაზე შავებში მორთულ მაღლობზე იდგა დიდი სურათი ილიასი. იგი ყვავილებით და შესაფერ ლენტებით იყო შემკული. კიბის წინ საფეხურებზე თავმოყრილი იყო ქართული სამუსიკო საკრავები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობდა ცოცხალ ყვავილებისაგან გაკეთებული ქნარი გადატეხილის კალმით.

ერთ მხარეს იდგნენ დრამატიულ საზოგადოების კამეობის წევრნი, მეორე მხარეს ადგილობრივი დასი. აპოთეოზი დაიწყო „წმინდაო ღმერთოს“ ქართულად გალობით. ნაზმა, წყნარმა და სამგლოვიარო ანგმა დიდად იმოქმედა საზოგადოებაზე. იგი ფეხზე ადგა და ისე მოისმინა საგალობელი.

დრამატიულმა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორ. ჭუმბურიძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ილიას მოღვაწეობა, განსაკუთრებით დრამატიულ ხელოვნების სფერაში. სიტყვის შემდეგ ქნარი დასდო სურათის წინ. შემდეგ დასიდან გამოვიდა ადგილობრივ საქალაქო სკოლის მოსწავლე (სცენის მოყვარე) გიორგი გურიელი და წაიკითხა ილიას ლექსი „გუთნის დედა“. ბ-ნმა ტარიელოვმა წაიკითხა ლერმონტოვი „ყაზბეგი“. გიორგი ნუცუბიძემ წაიკითხა ტ. ტარიელოვის ლექსი. შემდეგ კიდევ ტარიელოვმა და ბოლოს ქ-ნ იურკევიჩმა წაიკითხა თავის მამის, მწერლობაში რუს-იმერლის პსევდონიმით ცნობილის შედგენილი კარგი ლექსი ილიას მოკვლის გამო.

ამით გათავდა აპოთეოზი. ფარდა ნელ-ნელა დაეშვა. აპოთეოზმა საზოგადოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

შემდეგ დაიწყო პიესის თამაში. ადგენდნენ, როგორც ზემოდა ვთქვი, „უბედურ ნაბიჯ“-ს ნ. კარეევისას. მთავარ, ვარიას, როლს თამაშობდა ქ-ნი მ. მდივანი. საზოგადოებას იგი მოეწონა. ბარადინის როლში გამოვიდა ბ-ნი ვ. ურუშაძე. ასეთ როლისთვის მას მგრძნობელობა და დრამატიზმი აკლია. მოხდენილი იყო ბარონესას როლში ქ-ნი იურკევიჩის ასული. არ ეტყობოდა მხოლოდ როლის მაგრა ცოდნა და, შეიძლება ამიტომ, შესაფერი გაბედულობაც აკლდა. ბ-ნ გ. ნუცუბიძე (სცენ. მოყვ.) დრამატიულ როლების შესრულებასაც ეჩვევა, თუმცა მისი ნამდვილი ამპლუა ჩვენებური კომიკური როლებია. სხვები მეტ-ნაკლებობით ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

დასასრულ, ითამაშეს ვოდევილი „უშტვინაძე“. **რეპორტერი.**

## სასამართლო

**ფოსტის გაცარცვა.**

1906 წ. 7 ოქტომბერს ყარსსა და სარაყამიშის შუა ავაზაკებმა გაცარცვეს ფოსტა. ჩასაფრებულმა უცნობებმა თოფები დაუშინეს დარაჯებს, მოჰკლეს ორი, დასჭრეს ერთი და მერე წაიღეს 27000 მანეთი, იარაღი და ტყეს შეეფარეს თავი. იმავე დღეს ტყეში პოლიციამ დაატპატიმრა რამდენიმე კაცი, მათ შორის კონსტანტინე კობალიანი, რომელსაც 26000 მანეთი აღმოაჩნდა. კობალიანი გამოტყდა და თავისი ამხანაგებიც დასახელა. ამ საქმის გამო სამართალში მისცეს კ. კობალიანი, ამ. კუტულაძე, ლევან კორძინია, აზნაური ელიზბარ ჩარკვიანი და თავ. ლევან ფაღავა. ვველანი ყარსის საპყრობილეში არიან. საქმეს გაარჩევენ ღვინობისთვეში ყარსში.

—:—

**ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘ.**

18 სექტემბერს განჯაში გაირჩა საქმე სომხის მღვდლების იოანესიანცისა, ვარდაპეტიანცისა და ახუმიანცისა, დიაკონს

---

მელმაც „ოთარაანთ ქვრივით“ ანდერძი აუგო ტეტიათა მოტრფიალეებს, თვითვე „ტეტიათა-მოტრფიალედ“ დასახონ.

კვანძი მოთხრობისა ის არის, რომ ახალგაზდა მემამულეებთან, და-ძმასთან, რომელნიც განძსქვალულნი არიან გლეხთა სიყვარულით და ტრფიალებით, დგება მოჯამაგირედ ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი, კაცი გულ-ჩათხრობილი და სიმართლის მოყვარული. გიორგი ამ სიმართლისათვის ბევრ უსიამოვნებას აყენებს თავის თავსაც და სხვასაც. გიორგი შეძლებული გლეხ-კაცია, შინაც ბევრი საქმე აქვს, მაგრამ იმის გაღვიძებულ გონებოვნებას მოსწონს არა გლეხის ქალი, არამედ არჩილის და კესო, და თუმცა იცის, რომ იგი იმისთვის ხელმისაწვდენი არ არის, თუმცა დიდხანს ებრძოდა იგი თავის გრძნობას, მაგრამ მაინც ვერ დასძლო და გარდაწყვიტა მათთან მოსამსახურედ შესვლა. მას სწყუროდა კესოს მალ-მალე ნახვა; კარგად იცოდა ისიც, რომ კესო მას არ მისთხოვდებოდა—„ვინ მე და ვინ ის“, ვერც-კი გაუმეღავნებდა კესოს თავის გრძნობას. ყველას გაუკვირდა გიორგის მოსამსახურედ დადგომა. არც არჩილმა და კესომ იცოდნენ, რა ამბავი იყო. გიორგი კარგად მსახურებდა, და მადლიერი იყო იმით, რომ კესოს ჰხედავდა. „მე მეტი არა მინდა-რაო,—ამბობდა ხოლმე თავის გულში,—გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო! რა ამაგირი მინდა!... მე ისიც მყოფნის, რომ ცის ამარა დღეს მზეს ვუყურებო“.

მაგრამ ბოლოს ეს ამბავი გამომეღავნდა. ერთხელ, როცა გიორგიმ თვის დადგმა გაათავა და სათვეოდან ჩამოდიოდა, ფეხი გაუსხლტა, ურმის ჭალზედ დაეცა და ზედ დაეგო. სასიკვდილოდ დაჭრილი გიორგი შეიტანეს სახლში და დაუძახეს დედას. ეკვრს ეცადნენ და რაკი ვერაფერი გააწყეს, ასწყდა, რასაკვირველია, აურ-ზაური. კესოს და არჩილს თავიანთ თავი თითქოს დამნაშავედ მიაჩნიათ, რადგან გიორგი იმათ საქმეზედ მოკვდა. სიკვდილის წინ გიორგი უკანასკნელად გაეღვიძა დედას და კესოს. როდესაც გიორგის გული შეუწუხდა და ღვინის დალევის შემდეგ მოსულიერდა, მან უთხრა დედას:

— დედო! ხედავ... ამ ანგელოზს...

ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა,—ეგ იყო ჩემი ბედის-წერა... არა ვნანობ, არა! არჩილსა და კესოს ეოცაო ეს, მაგრამ ამ დროს ვერავინ ვერ გაბედა ხმის ამოღება:

გიორგიმ განაგრძო.

— აი ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!—ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ. კესო ტირილით მივარდა თვალცრემლიანი და შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა ეეცარმა ცრემლმა ერთ-ხანად შესძრა გიორგი და შეაყრეოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, ჰმოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკან დაუბრუნდაო.

— ხედავ, დედი! ცოცხალი მაგის დიმს ვერ ვეღირსე, კვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად...

გიორგი მოკვდა. დაასაფლავეს კიდეც. დარჩნენ მარტონი არჩილი და კესო და დაიწყეს კვლევა-ძიება ამ თავზარ-დამცემ ამბისა. არჩილის პირით აქ ავტორი ჰხსნის, თუ კესომ რატომ ვერ გაიგო გიორგის გრძნობა: იმიტომ, რომ გლეხთა და მებატონეთა შორის ხიდია ჩატეხილიო. არჩილს უკვირდა ისიც, რომ გლეხებმა სულ სხვა თვალით შეჰხედეს მათ მიერ გიორგის გაპატიოსნებას დასაფლავების დროს. „ეკლი მოიდნის და ქვეყანას თვალს უხვევნო“. არჩილი დაუკვირდა იმას, გლეხებმა რად მიიღეს მათი კეთილის გულით მონაქმედი ბოროტათ, და დაასკვნა, რომ

ჩვენი (ე. ი. მებატონეთა) მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ, ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაც, იკითხამენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილს? და აი სწორედ აქ არიან მართალნი, მართლადა ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვა და სხვა ქვეყანაა... შორი შორსა ვართ-მეთქი. იმათ ტირილს და ლხინს ცალკე დობე აკლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვედარ მიგვიკარებია; ვედარ მიგვიხვედრებია და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა ადარა გგესმის-რა. აბა ერთი მითხარი რა დადის ჩვენს შუა? მარტო პტყელი ენა მწიგნობარისა—მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი—მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი გული გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ!

ან კიდევ კესოს კითხვაზედ, მაშ გული აღარ არისო, იგი მიუგებს:

გული მადლია, და მადლი მარტო ორ შუა ჭსაქმობს, ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხვდეს, იმიტომ რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორესაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროსა. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე გულიცა. უსხვაოდ ერთის გული მარტო ბარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალ-გადმა, მორს... მორს.., მაშ რადად გვიკვირს, რომ იქიდან (ესე იგი გლეხებიდან) ვედარ გვხედვენ, ჩვენი ადარა სჯერათ-რა კეთილიკი“.

შემდეგ არჩილი გორგის მაგალითით ასურათებს ამ აზრს: იგი ამტკიცებს, რომ გიორგი იყო მოციქული, იქითა მხრიდან გამოგზავნილი, და ჩვენ ვერ მივიღეთ, ის იყო წიგნი, იქიდან მოწერილი ჩვენს

---

წავიკითხეთ ის წიგნიო. არჩილი ამბობს, რომ ჩვენ ნახევარ კაცნი ვართ, ადამიანობით გლეხები ჩვენზედ მაღლა სდგანან, ცხოვრება იმათშია,

იქა სდუღს ძარდგებში მოარული სისხლი, თუ ზეგით რამ ჭუჭყია, ეგ ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოგდებული, ძირში კი წმინდაა. მამ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი, ან იმისთანა დედა-კაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივი?.. ჩვენ-კი ზედვად და სმენადაც უდოლნი ვართ და იქ-კი... იქ რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი.

აქ, ჩვენის აზრით, ისეთის სისრულით არის მოყვანილი ფსიხოლოგიური დახასიათება ორ წოდების შემეცნების სხვა და სხვაობისა, რომ დამატება რისამე მეტია.

არჩილმა აუხსნა კესოს, თუ რატომ ვერ იცნო მან გიორგის სულის-კვეთება. მიზეზი—სოციალურ-ფსიხოლოგიურ ხასიათისაა, რომელიც ინერგებოდა ერთ თაობიდამ მეორე თაობამდე და ყოველი ლაპარაკი ერთობაზედ მარტო სიტყვით ხორციელდება და არა საქმით. მაგრამ არჩილი არ დაკმაყოფილდა ამით. მან მოინდომა უფრო ღრმად დაესვა საკითხი, გამოეძია, რამდენად ძლიერია ის უფსკრული, რომელიც ამ წოდებათა შორის არის. ეხლა ხომ იცოდა კესომ, რომ იგი უყვარდა გიორგის. ძმა ჰკითხავს: მისი ხოვდებოდი თუ არა, რომ გიორგის სიცოცხლის დროსვე გცოდნოდა ეს ამბავიო. ქალი ყოყმანობს და არ იცის, რა მიუგოს ამ მძიმე და მოულოდნელ კითხვის პასუხად და ბოლოს ამბობს—„არაო“. „მეც ეგრე მოვიქცეოდიო,—ამბობს თავის მხრივ არჩილი:—გამოდის, რომ თუ არ გვარიშვილობას... მაგრამ კესო სიტყვას ადარ ეთავებინებს არჩილს. როდესაც არჩილი მაინც ჩაიცინა და, დამ, ამ საგანზედ ლაპარაკის შესაწყვეტად, მიუგო: „არ მიყვარდა და იმიტომო“ ძმამ კი სთქვა:

„ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს, ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ

---

სკოლის მოსწავლე (სცენის მოყვარე) გიორგი გურიელი და წაიკითხა ილიას ლექსი „გუთნის დედა“. ბ-ნმა ტარიელოვმა წაიკითხა ლერმონტოვი „ყაზბეგი“. გიორგი ნუცუბიძემ წაიკითხა ტ. ტარიელოვის ლექსი. შემდეგ-კიდევ ტარიელოვმა და ბოლოს ქ-ნ იურკევიჩმა წაიკითხა თავის მამის, მწერლობაში რუს-იმერლის პსევდონიმით ცნობილის შედგენილი კარგი ლექსი ილიას მოკვლის გამო.

ამით გათავდა აპოთეოზი. ფარდა ნელ-ნელა დაეშვა. აპოთეოზმა საზოგადოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

შემდეგ დაიწყო პიესის თამაში. ადგენდნენ, როგორც ზემოდა ვთქვი, „უბედურ ნაბიჯ“-ს ნ. კარეევისას. მთავარ, ვარიას, როლს თამაშობდა ქ-ნი მ. მდივანი. საზოგადოებას იგი მოეწონა. ბარადინის როლში გამოვიდა ბ-ნი ვ. ურუშაძე. ასეთ როლისთვის მას მგრძნობელობა და დრამატიზმი აკლია. მოხდენილი იყო ბარონესას როლში ქ-ნი იურკევიჩის ასული. არ ეტყობოდა მხოლოდ როლის მაგრა ცოდნა და, შეიძლება ამიტომ, შესაფერი გაბედულობაც აკლდა. ბ-ნ გ. ნუცუბიძე (სცენ. მოყვ.) დრამატიულ როლების შესრულებასაც ეჩვევა, თუმცა მისი ნამდვილი ამპლუა ჩვენებური კომიკური როლებია. სხვები მეტ-ნაკლებობით ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

დასასრულ, ითამაშეს ვოდევილი „უშტვინაძე“. **რეპორტერი.**

## სასამართლო

**ფოსტის გაცარცვა.**

1906 წ. 7 ოქტომბერს ყარსსა და სარაყამიშის შუა ავაზაკებმა გაცარცვეს ფოსტა. ჩასაფრებულმა უცნობებმა თოფები დაუშინეს დარაჯებს, მოჰკლეს ორი, დასჭრეს ერთი და მერე წაიღეს 27000 მანეთი, იარაღი და ტყეს შეეფარეს თავი. იმავე დღეს ტყეში პოლიციამ დაატპატიმრა რამდენიმე კაცი, მათ შორის კონსტანტინე კობალიანი, რომელსაც 26000 მანეთი აღმოაჩნდა. კობალიანი გამოტყდა და თავისი ამხანაგებიც დასახელა. ამ საქმის გამო სამართალში მისცეს კ. კობალიანი, ამ. კუტულაძე, ლევან კორძინია, აზნაური ელიზბარ ჩარკვიანი და თავ. ლევან ფაღავა. ვველანი ყარსის საპყრობილეში არიან. საქმეს გაარჩევენ ღვინობისთვეში ყარსში.

—:—

**ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘ.**

18 სექტემბერს განჯაში გაირჩა საქმე სომხის მღვდლების იოანესიანცისა, ვარდაპეტიანცისა და ახუმიანცისა, დიაკონს

---

ეკლესიის ეზოში ეგზარხოსი ეკლესიის ეზოში ეგზარხოსი ეკლესიის ეზოში ეგზარხოსი

გრიგორიანცისა და ეკლესიის დარაჯების თევანოვისა, ვარდაპეტოვისა და ხანოგლიევისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ეკლესიაში ყუმბარების შენახვა. სასამართლომ შვიდივეს გადაუწყვიტა ღირსებაუფლების ჩამორთმევა და სამ-სამი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

## რუსეთი

✦ **ჯარიმები.** ისე დღე არ გავა, რომ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა რამდენიმე ათასი მანეთით არ დააჯარიმოს მეეტლენი, წვრილი ვაჭრები, მეეზოვენი, რედაქტორები და ყველა, ვისაც კი ხელს ჩასჭიდებს. ხშირად საერო ჯამი ჯარიმისა ერთ დღეში 7, 8 და 10 ათას მანეთს შეადგენს. 14 ენკენისთვეს დაჯარიმებულ იქმნა 278 კაცი 4075 მან. წლის ბოლოს, თუ ასე წავიდა საქმე, რუსეთის ხაზინას მარტო პეტერბურგი შეჰმატებს 2 მილიონ მანეთამდე. ესეც ახალი გადასახადი და ახალი წყარო დაცარიელებულ ხაზინისათვის!

✦ **გ. პლეხანოვის გაკიცხვა.** ამას წინად რუს. სოც.-დემ. ბელადმა პლეხანოვმა გაზეთში წერილი დაბეჭდა წინააღმდეგ სოც.-დემოკრ.-ის ტაქტიკისა და დაიწუნა მათი ეხლანდელი პოლიტიკა, რომელიც უფრო კადეტების წინააღმდეგ არის მიმართული, ვიდრე რეაქციონერებისა. ეს წერილი საკამათო საგნად გაიხადა სოც.-დემოკრ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. გამარჯვება მეუმრავლესეთ დარჩათ. ხმის უმეტესობით ცენტ. კომიტეტმა დაადგინა: დაიბეჭდოს განსაკუთრებული პროკლამაცია პლეხანოვის წერილის შესახებ და გაკიცხულ იქმნეს მისი შინაარსი და თვითონ ავტორიც.

✦ **ამნისტია.** ხარკოვის ოფიციალურ „გუბერ. ვედ.“-ში დაბეჭდილია: „უმაღლესი ბრძანებით, თანახმად ხარკოვის ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თხოვნისა, ეპატიათ დანაშაული და მოეხსნათ სასჯელი ლაპტევს, გოლოვკინსა და ლუკინს, რომელთაც მოჰკლეს ებრაელი რევოლიუციონერი „ბუნტოვშჩიკი“ შერი“.

✦ **ბულაცელის დასჯა.** პეტერბურგის ნაფიც ვექილთა საბჭომ ერთი თვით აუკრძალა ვექილობა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ერთ ბელადთაგანს ბულაცელს, რომელმაც ბარონესა შლიპენბახის თამასუქებში სიყალბე ჩაიდინა. ამის გამო ბრწყინვალე ბიუროკრატიას ერთი ვაი-ვაგლახი აყალმაყალი აუტეხია.

✦ **სამხედრო მინისტრის მოკვლის განზრახვა.** საცაა პეტერბურგის სამხედრო სასამართლო გაარჩევს სოც. რევ. ჩრდილოეთის საქმეს. ამ პარტიის ერთ ჯგუფს განუზრახავს სამხედრო მინისტრის გენ. რედიგერის ავტომობილის აფეთქება. ამისთვის მათ აირჩიეს ადმირალის ქუჩა, საცა მას სამხედრო საბჭოდან უნდა გაევლო. ტეროორისტები ჩასაფრდნენ სამხედრო საბჭოს მახლთბლად ერთ ყავახანაში და იქიდან დაუწყეს მინისტრს თვალყურის დევნა.

ჯგუფს მეთაურობდა ვინმე სლუჩევსკი. ყუმბარა უნდა გადაეგდო ერთ ქალს, რომლის ვინაობა პოლიციამ ღღესაც არ იცის. პოლიციამ ეს ამბავი შეიტყო და ტეროორისტებს თვალყურს ადევნებდა. 19 ივლისს სამხედრო სამინისტროს შენობიდან პოლიციამ განგებ ცარიელი ავტომობილი გამოუშვა. უცნობი ქალი და ერთი კაცი ყუმბარებით გაეშურნენ ავტომობილისკენ, მაგრამ პოლიციამ დაასწრო და ორივეს იარაღი აჰყარა. ქალს ყუმბარის გარდა უპოვეს ბრაუნინგი მოწამლული ტყვიებით.

**სასამართლო.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორმა სამართალში მისცა მაქსიმ გორკი 128 და 129 მუხ. ძალით მისი მოთხრობის „ღედის“ გამო, რომელიც „ზნანიეს“ კრებულში იბეჭდებოდა.

**დაპატიმრება.** ავსტრიის პოლონეთის დიდ ქალაქ კრაკოვში დაუპატიმრებიათ ვანდა დობროძიცკაია, რომელმაც ორი წლის წინად ვარშავაში პოლონეთის გენ.-გუბერნატორს გენ. სკალონს ყუმბარა ესროლა. ქ-ნი ვანდა ვარშავიდან კრაკოვში გაქცეულა და იქ გათხოვილა. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა ბრალდებული, მაგრამ ავსტრიის მთავრობამ „არი უთხრა, რადგან დობროძიცკაიას [illegible]ის ქვეშევრდომობა მიუღია.

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ „ისრის“ საშუალებით გამოვაქვეყნო*) ის არა საკადრისი საქციელი, რომელიც 5 ამ თვეს საამხანაგო სტამბის უფროსმა მუშამ ბ-ნმა ოგანეზოვმა ჩაიდინა. საქმე ასე იყო: რადგან თითქმის ეს ორი წელიწადი ციხეში ვიყავ დაპატიმრებული და ჩემის განთავისუფლების შემდეგ უსაქმოდ დავიარებოდი, ამ ერთი თვის წინად „სოროპანის“ სტამბის ერთი მუშა, სახელდობრ საიკა (ასოთ-ამწყობია) შემპირდა თავის ადგილის დათმობას. გაიარა 3—4 დღემ და შემთხვევით კიდევ ციხეში ჩავვარდი. ციხეში ერთი თვე დავყავი. ამ ხნის განმავლობაში ხსენებულ ამხანაგს ალაგი უკვე მოეცალნა და რადგან მე ვეღარ მნახა, დროებით სხვისთვის გადეცა და თითონ კი ბათუმში გამგზავრებულიყო. როდესაც ციხიდან გამოკელი, მაშინვე ხსენებულ ამხანაგთან წავედი პირობების შესატყობად. სტამბის უფროსმა ბ-მა მიხეილამ ამიხსნა, საქმე რაშიც იყო და თანაც დაუმატა: «დაე, იმან იმუშაოს და მე შენთვის სხვა საქმეს ამოვაჩენო». მეც ამის წინააღმდეგი არ გავხდი, რადგან საქმეს ახლო მომავლისათვის შემპირდა. საქმეს დღე-დღეზე მოველოდი და მართლაც 5 ენკენისთვეს, დილით მიხეილამ სტამბაში დამიბარა და პატარა გაზეთ „Трамвайная Газета“-ს მირიგდებოდა. ამ დროს სტამბის მუშებმა მიხეილი მოითხოვეს და გამოუცხადეს, რომ ის საქმე მე არ მეკუთვნოდა და რომ სხვისთვის გადეცა. მიხეილამ უარი გამომიცხადა, და დამატოვებინეს ადგილი. უნდა დაუმატო, რომ რომელსაც ეს საქმე აკუთვნეს, თურმე 3—4 დღე სტამბაში აღარ მისულა და არ იცოდნენ სად იყო და რას აკეთებდა, გაზეთი კი პარასკევისთვის მზად უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ, რაკი ამ ორი თვის წინედ პროფესიონალურ კავშირში ჩავეწერე, მივმართე კავშირის გამგეობის წევრს ბ-ნ ოგანეზოვს და ვთხოვე ის ადგილი. ბ-ნმა ოგანეზოვმა ამაზე გადაჭრილი უარი მითხრა და თანაც დაუმატა, რომ რუსი ასოთამწყობნი რვა თვე ცუდათ დაიარებიან და ადგილი იმათ ეკუთვნითო. მე უთხარი: თუ ისინი რვა თვე არიან ცუდად, მე ორი წელიწადი ვარ მეთქი. ამასთან აუხსენ, რომ ეს ორი წელიწადი მე ციხეში ვიყავ და განთავისუფლების შემდეგ დიდ გაჭირვებას განვიცდიდი. ამაზე ბ-ნმა ოგანეზოვმა ბევრი აღარ იფიქრა და პირდაპირ შანტაჟისტობა დამწამა. მე, რასაკვირველია, შესაფერი საბუთი მოვთხოვე ჩემის შანტაჟისტობისა. მან პირდაპირ მითხრა, რომ „სადაც შენ მუშაობდი, იქ მივმართეთ და იქიდან მოგვცეს ეს ცნობა, და ჩვენც შანტაჟისტებს არც ალაგს და არც შემწეობას არ ვაძლევთო“. ამ სიტყვების შემდეგ ჩემის ვინაობის გამოძიებას შეუდგა და დამიწყო კითხვა: „დაგვიმტკიცე შენ რა კაცი ხარ და რას მუშაობდი ჩვენ ახალ ცხოვრებაში-ო“. საკვირველი რამ არის, რაში ესაჭიროებოდა ბ-ნ ოგანეზოვს ჩემი ვინაობის გამოკითხვა, როდესაც ყველანი კარგად მიცნობენ, მეც და ჩემს საქმესაც. და თუ მაინცა და მაინც ეს მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ჯერ მან წამამიყენოს თავის პიროვნების მოწმობა, რომ ის სანდო ვინმეა და მაშინ სარკესაებრ დავანახვებ ჩემს ადამიანობას, ვინცა ვარ და რასაც ვაკეთებ.

დასასრულ, რადგან ბ-ნ ოგანეზოვის ასეთი ჭორი, ვითომ მას ჩემ ძველ ადგილზე მიემართოს და იქიდან მიეცეთ ცნობა ჩემის შანტაჟისტობის შესახებ, სიმართლეს მოკლებული გამოდგა, ამიტომ წინადადებას ვაძლევ ბ-ნ ოგანეზოვს, საჯაროდ ბოდიში მოიხადოს ან არა და სამედიატორო სასამართლოში გამომყვეს.

**ასოთ-ამწყობი ნ. ბ.**

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რუსეთში.**

20 სექტემბერი.

**კერჩი.** ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს ორი ყუმბარისაგან ძლიერ დაჭრილი ახალგაზდა. ერთს ხელი მოსჭრეს, წვივიდან ყუმბარის ნამტვრევები ამოუღეს, ყუმბარა აფეთქებულა მიტრიდატის მთაზე, მაგრამ რა მიზეზით და რა პირობებში, დაჭრილები არ ამხელენ.

**ოდესა.** არნაუტის ქუჩაზე თავისს სახლში მძიმედ დასჭრეს ვაჭარი მუსმანი, რომელმაც მძარცავეს ფული არ მისცა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა „რუსსკოე ზნამია“-ს რედაქტორი დუბროვინი ასის თუმნით დააჯარიმა, რადგან თ ვის გაზეთში წერილი დასტამბა „პატრიოტები და მოდალატე“-ს სათაურით, ხოლო „რეჩი“-ს რედაქტორი ხარიტონი 500 მანეთით—19 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილისა გამო ამ სათაურით: „პეტერბურგის გრადონაჩალნიკი და რუსეთის კონსტიტუცია“.

**ომსკი.** დილით სატელეგრაფო კონტორის კანცელარიაში, როცა ჯამაგირს არიგებდნენ, სამი ბოროტ გამზრახველი შეიჭრა. იქვე მოჰკლეს ხაზინადარი პაკოტინი, მძიმედ დასჭრეს სამი კაცი და მსუბუქად ორი მოხელე, მათ შორის ერთი ქალი. ერთმა ბოროტ-მოქმედთაგანმა გაქცევა ვერ მოასწრო და იქვე თავი მოიკლა დანარჩენი ორი ქუჩამი შეიბყრეს. ერთი მათგანი ომსკის გიმნაზიაში მოსწავლედ ნამყოფი აღმოჩენილა 16 წლისა.

*) ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

**სიფრანი.** დაუპატიმრეს სოფ. კოტარეკის გლეხები. იმათ აბრალებენ მემამულე ნასაკინის მოკვლას. ხუთი კაციდან ზოგი გამოტყდა და განაცხადა, რომ რკინის ყუთში 40,000 მანეთი გვეგონა, მაგრამ მხოლოდ 300 მანეთი აღმოჩნდაო. ნასაკინს იმ დროებით მამული გაეყიდა თურმე.

**ანანიევი.** შეიპყრეს მემამულე ბაუმანის მკვლელები.

**ოდესა.** გენერალ-გუბერნატორმა თათბირი გამართა. მოიწვია 17 ექსპერტი და ნავთ-სადგურის მუშათა ოთხი წარმომადგენელი. ითათბირეს ოდესის ნავთ-სადგურში სამუშაოს მოწესრიგების შესახებ. დაადგინეს დასტოვონ შრომის ძველი ფასი. მუშებს ჯამაგირი უნდა მიეცეთ თვეში ორ ჯერ; ქრისტიანები და ებრაელები თანაბრად უნდა მიიღონ და ოდესაში დააარსონ შრომის ბირჟა.

**სევასტოპოლი.** ივანოვის სახლში გლეხს ფოქენკოს, მებრძოლ ორგანიზაციის წევრს კიდეგ უბოვნეს 9 ყუმბარა, 5 ყალბი ას მანეთიანები, ბატრონების, პროკლამაციების და ხანჯლების საწყობი.

**სიმბირსკი.** სასაფლაოზე ბავშვებმა თამაშობის დროს ყუმბარა იპოვნეს. ყუმბარა აფეთქდა. ერთი ბავშვი მსუბუქად დაიჭრა.

ოქლის საქციზო მმართველობის ხაზინადარს თავს დაეცნენ და დასჭრეს. ფული ვერ წაართვეს, რადგან თან არაფერი ჰქონოდა.

**ვოლოგდა.** 18 სექტემბერს ადმოაჩინეს ს.-რევოლიუციონერების სტამბა. დაუპატიმრეს ერთი ქალი, რომელიც სხვისი პასპორტით სცხოვრობდა.

**პეტერბურგი.** ვაჭროების სამინისტრომ დაკმაყოფილა პეტერბურგის ბოლიტეხნიკუმის შუამდგომლობა და ნება დართო გახსნან მდგომარე წელს სამი ახალი განყოფილება: მექანიკური საინჟინერო, ხუროთმოძღვრო და ქიმიკური.

**პოლტავა.** სადგ. პოლტავაზე ბარგის გადატან-გადმოტანის დროს შეამჩნიეს ერთი საეჭო ყუთი, რომელშიაც ადმოჩნდა ვიდაც ახალგაზდას (22 წლ.) შავ სერთუკში გამოწყობილ უცნობის გვამი. ყუთი სიმფეროპოლიდან კიევში იყო გაგზავნილი.

**ლოძი.** კრუჩიკისა და ნოვოზარუევსკის ქუჩის ბოლოში ექვსის ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა. ბაბიანიცაში მძიმედ დასჭრეს ელექტრონის მემანქანე.

დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაუპატიმრეს 127 კაცი. მათ რიცხვში 12 ქალია, რომელნიც შორეულ გუბერნიებში იგზავნებიან.

**მინსკი.** სლუცკის მაზრის სოფელ ტინკოვიჩის მახლობლად ერთმა პატიმარმა რევოლვერით მოჰკლა მხლებელი სტრაჟნიკი და მიიმალა. სტრაჟნიკს მკვლელი სატუსადოდ მიჰყავდა.

**ცარსკოეს სელო.** დაეცნენ მემამულეს ნედოვს და მოსტაცეს 6000 მანეთი. მმარცავთ გამოუდგნენ. დაიჭრა ერთი პოლიციელი, ორი მმარცავი შეიპყრეს.

**ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ**

**პეტერბურგი.** 19 სექტემბრამდე ევროპის რუსეთის 39 გუბერნიაში და პოლონეთის 4 გუბერნიაში წვრილ მემამულეებს აურჩევიათ 6344 რწმუნებული: 81 რუსთა კავშირის წევრი, 1 რუსის კრებისა, 71 ოქტომბრისტების მომხრე, 76 ოქტომბრისტი, 2 მშვიდობიან განახლებისა, 8 კადეტების თანამოაზრე, 236 კადეტი, 2 ს-დემოკრატი, 97 კონსტიტუციონალისტი, 2 უკოდოდოვი, 456 თავისს თავის მონარქისტად მადიარებელი, 2024 მემარჯვენედ—244 ზომიერი—3 კონსერვატორი, 172 მემარცხენე, 82 პროგრესისტი, 961 უპარტიო, 1083 უცნობი.

ევროპის რუსეთის 40 გუბერნიასა და პოლონეთის 7 გუბერნიაში გლეხებს აურჩევიათ 14931 39 რუსთა კავშირის წევრი, 1 განაბირა ქვეყანათა რუსთა კავშირისა, 9 წეს-რიგის პარტიისა, 32 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 50 ოქტომბრისტი, 6 მშვიდობიან განახლების წევრი, 5 კადეტების თანამოაზრე, 130 კადეტი, 18 შრომის ჯგუფისა, 6 გლეხთა კავშირისა, 113 ს-დემოკრატი, 24 ს-რევოლიუციონერი, 3 მაჰმადიანთა კოლო, 33 მაჰმადიანთა ზომიერ ფრაქციისა, 274 ნაციონალისტი, 229 ნაროდოვეცი, 4 მათი თანამოაზრე, 1 პოლონურ კლერიკალური პარტიისა, 80 ესტონელი პროგრესისტი, 179 ლატიში რეფორმატორი. 919 თავის თავის მონარქისტად მადიარებელი, 3,834 მემარჯვენედ მადიარებელი, 843 ზომიერად. 2 კონსერვატორად, 31 უკიდურესი მემარცხენე, 1,370 მემარცხენე, 11 მათი თანამოაზრე, 6 სოციალისტი, 1 ლიბერალი, 246 პროგრესისტი, 4,239 უპარტიო, 2,194 უცნობი.

19 სექტემბრამდე ევროპის რუსეთის 25 გუბერნიაში და პოლონეთის 2 გუბერნიაში მუშებს აურჩევიათ 1,481 რწმუნებული: 7 რუსთა კავშირის წევრი, 2 ოქტომბრისტი, 5 კადეტთა თანამოაზრე, 20 კადეტი, 174 ს.-დემოკრატი, 25 ს.-რევოლიუციონერი, 2 ესტონელი პროგრესისტი, 1 შრომის ჯგუფისა, 1 კადეტებზე უფრო მემარცხენე, 36 ნაროდოვეცი, 10 თავისს თავის უკიდურეს მემარჯვენედ მადიარებელი, 37 მონარქისტი, 154 მემარჯვენე, 182 ზომიერი, 198 მემარცხენე, 12 უკიდურესი მემარცხენე, 18 პროგრესისტი, 21 სოციალისტი, 221 უპარტიო, 355 უცნობი.

20 სექტემბრამდე არხანგელსკის, მოს. კოვის და პოლტავის გუბერნიებში და ბრიმორის ოდქში გლეხთა რწმუნებულებს აურჩევიათ 32 ამომრჩეველი: იმათგან 1 ოქტომბრისტი, 1 კადეტი, 3 კადეტთა თანამოაზრე, 9 თავისს თავის მემარჯვენედ მადიარებელი, 11 ზომიერი, 3 უპარტიო, 3 მემარცხენე, 1 უცნობი. მოქალაქეებს აურჩევიათ 30, იმათგან 3 კადეტების თანამოაზრე, 1 ს.-დემოკრატი, 1 ს,-დემოკრატების თანამოაზრე, 2 მემარჯვენე, 10 ზომიერი, 4 უპარტიო, 1 მემარცხენე, 5 უცნობი. მუშებმა აარჩევიათ 10 ს.-დემოკრატი.

20 სექტემბრამდე მუშათა რწმუნებულებს აურჩევიათ: იაროსლავის გუბერნიაში 1 თავისს თავის უპარტიოდ მადიარებელი, 1 მემარცხენე; პოდოლის გუბერნიაში 1 უპარტიო მემარცხენე.

ამურის ოქლის გლეხების რწმუნებულებს აურჩევიათ ამომრჩეველი: 1 პროგრესისტი და 9 მემარჯვენე; ნიკოლაევი—1 უპარტიო. ბლაგოვეშჩენსკში მოქალაქეთ აურჩევიათ 1 კადეტი, 3 ს.-დემოკრატი; კიშინიოვში აურჩევიათ 2 რუსთა კავშირის წევრი, 2 კადეტთა თანამოაზრე, 1 მემარჯვენე; ორგვეში აურჩევიათ 1. კალუგის გუბერნიაში—6 ოქტომბრისტი. 1 პროგრესისტი, 2 კადეტი, 1 კადეტთა თანამოაზრე, 1 მემარჯვენე, 1 მონარქისტი.

**ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ**

20 სექტემბერი.

**სენ-ლუი.** რუზველტმა სიტყვა წარმოსთქვა და ის აზრი გაატარა, რომ ამერიკელებისათვის მეტად საჭიროა ძლიერი სამხედრო ფლოტიო.

**პეტსლი.** 19 სექტემბერს კლარკის ძაფის სართავ მანუფაქტურის 2000 მუშა ქალი თავს დაესხა კოატსის მანუფაქტურის მუშებს და ცემა-ტყეპა დაუწყო, არეულობის მოსასპობლად ცეცხლის მქრობელ მილიდან მოჩხუბართ წყალი გადაასხეს, მაგრამ ვერ გააშველეს. პოლიციას ქვები დაუშინეს. კოატსის მანუფაქტურამ გამოაცხადა, რომ სანამ ჩემი მუშა ქალების ცხოვრება უსიამოვნებისაგან უზრუნველ ყოფილი არ იქმნება, მუშაობას თავს ვანებებთ. მუშებს ადუთქვეს გაცდენილ დროს ხელ ფასი მოგვეცემათო.

21 სექტემბერი.

**თავრიზი.** ოსმალოს ჯარი წინ ძიდის და სოფაის დაჭერას აპირებს. მაშველ ჯარს ვანიდან მოელიან.

**ლონდონი** როგორც ქაირიდან იუწყებიან, შუაგულ აფრიკის ტომებს შორის მდელვარება დაწყებულა. ვადაიის მეთაურები ულადსოლიმანელ არაბებზე თავ დასხმას აპირებენ თურმე. ჩადროგის ტბის ჩრდილოეთით საფრანგეთის ბოსტსაც საფრთხე მოელის.

**ვენა.** ბრაგიდან მიღებულ ცნობით, ჩრდილო-დასავლეთის რკინის გზებზე მდგომარეობა გართულებულა. მატარებლები ძლიერ იგვიანებენ. ჩეხიისა და ბუშტეგრადის გზებზე მოსამსახურეების მიერ პასსიური წინააღმდეგობა არ გამოუცხადებიათ. მთავრობის გზებზე მდგომარეობა ნორმალურია.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ავალიშვილი.


## განცხადებანი

**იყიდება სახლი**
ვარნაზოვისა ირისთავის ქუჩა, № 5 და კიროჩნის ქუჩა, № 34, მეათე ნაწილი. სახლი ერთ სართულიანია; მიწა ზომით 247 ოთხკუთხი საჟენია.
მსურველმა ფასის შესახებ უნდა ჰკითხოს ავჭალის შესახვევში, № 13, ვარნაზოვს. (3—310—3)

**ოფიზის ქარხანა**
**ი. ფ. პეტროვისა**
ვიატსკის გუბ., **იეევსკი ქარხანა**
ჰყიდის ყოველგვარ სანადირო **ოფიზს, რევოლვერებს** და ნადირობისთვის საჭირო ნივთებს. ოფიზი **„ბერდანა“** საფანტისა, 9 მანეთად, კარგია ღარიბ მონადირესათვის. **ცელის** გასალესი მაშინკა, კარგი და გამოსადეგი სოფლის მეურნისათვის, თითო 80 კაპეიკად, ორი შტუკა 1 მან. 50 კაპ., 10 ცალი 6 მან. 50 კაპ., პრეისკურანტი მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ, ვაჭრებს და მაღაზიებს ფას-დაკლებით.
(Метцль и К°. 3280) (6—№ 3.—6

**გამოვიდა და ისყიდება**
სკოლებში სახმარებელი ერთხმიანი
**ქართული სალაპარაკო**
# გაკვეთილები
(მწუხრით)
ნოტებზედ გადაღებული მღ. **ფილიმონ კარბელაშვილის**-მიერ ფასი 15 კ.
უმთავრესი საწყობი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.
(5—327—2)

## მღვდლობის, დიაკონობის და მედავითნეობის
**ხარისხთა მისაღებად**
ამზადებენ ორი-სამი სასულიერო პირნი ერთად. მეცადინეობა გასტანს არა უმეტეს ხუთი-ექვსი თვისა და ღირება იგი სამღვდელთათვის—60 მან., სამთავროებისათვის—40 მან., ხოლო სადიაკვნოებისათვის—20 მ. რაც მალე მოიყრის ათიოდე მსურველი თავს, იმდენად მალე გაიხსნება სწავლა. დაწვრილებითი პირობანი იკითხონ მღვდელ-მონაზონ **იოანესთან** (5—323—4) დარიის მონასტერში

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.
# საჭიროა
**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**
საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფელ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭიროდ არ არის. მანქანას მნიშვნელობა არ აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვეძიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.
**პირველი ქაბაქას. ამხანაგობა**
მსწრაფელ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.
ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—63)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**
**ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი)
**ფ. ᲐᲛᲘᲜᲐᲕᲘ:**
**ფ. ᲐᲛᲘᲜᲐᲕᲘ ᲠᲘᲩᲝᲕᲐᲜᲘ**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა,
**ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲘᲡᲢᲘ:**
**ფ. ᲐᲛᲘᲜᲐᲕᲘ ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების,
**ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ:**
**მ. ᲒᲐᲒᲔᲠᲘᲜᲘ**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საშარდე.
**ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ:**
**ა. ᲛᲐᲣᲒᲘᲜᲝᲕᲘ**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ᲒᲘᲠᲘᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ:**
**Გ. Ა. ᲒᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ:**
**Ა. Ა. ᲒᲐᲠᲑᲐᲕᲘᲩᲘᲐᲜᲘ**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**Ა. Ა. ᲨᲔᲠᲬᲘᲜᲘᲜᲐ**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**Გ. Ა. ᲒᲣᲠᲯᲔᲜᲝᲕᲘ**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.
**ᲡᲐᲓᲐᲛᲘᲝᲗᲘ:**
**Ა. Ა. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მჯდიც. დოქტორი **ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ**
(150—ხალ.—150)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:
1. «**ამბავსება კავსეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია**», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის გაზრიანტი . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნიკომანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იაშვალისა . . . . . 20 კ.
7. «**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . 1 მ.
9. «**ზოიულეთი**», (ამბავსება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», საამხატვრო-სალიტერატურო კრებული (ძრავალის სურათით). . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . 1 მ. 35 კ.
(—15)